№ 165 13 მარიამობისთვე, სამშაბათი 1866—1878 13 მარიამობისთვე, სამშაბათი № 165

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირ ღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები ნახე უკანასკნელ გვერდზე

ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. Პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8). Ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

საქართველო

დღიური

*** გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი 9 აგვისტოს გამოგზავნილი ხუც-უბნიდამ:

„მოგვიახლოვდა დრო ბათუმში შესვლისა, რომელსაც ამდენი ხანია მოველოდით.

„ჩვენი თვალის წინ ცარიელდება Ოსმალების ციხის-ძირის ბანაკი. Აყათმყოფები ტრაპიზონში გადაიყვანეს; აგრეთვე მძიმე იარაღები (ზარბაზნები). Ბუშინ არტილერია და ქვეითი ჯარები წავიდნენ. ჩურუქ-სუში (ქობულეთში) მხოლოთ ორი როტა ნიზამი არის დარჩენილი.

„ჩვენი ატრიადი ჯერ კიდევ ხუც-უბანზედ არის დაბანაკებული.

„Აზირებული შემთხვევა მოხდა, რომელსაც ზაქათალის პოლკმა ჩურუქ-სუსაკენ გაიწია: ქობულეთლებს ეგონათ, რომ რუსები ღამით დაეცემიან იმათ თავს და თოფ-იარაღს მოჰკიდეს ხელი. Ქობულეთის ყაიმაკამს (უეზდის უფროსს) სულეიმან-ბეის უნდოდა ამით ესარგებლნა, წაერთმია ხალხისთვის იარაღი, და გარს შემოარტყა ჯარი ქობულეთს. Მაგრამ მხნე ქობულეთლებმა გააპეს ეს ჯარი და 300 დაიარაღებული კაცი გაიქცნენ.

„Ამ ორის დღის წინათ Დერვიშ-ფაშამ მოიხმო ბათუმში მამასახლისები იმ სოფლებისა, რომელნიც ჩვენ უნდა შემოგვიერთდნენ, და გამოუცხადა იმათ, რომ რუსეთს დარჩითო და ვისაც გსურთ, შეგიძლიანთ წამოხვიდეთ ჩვენთან Ოსმალეთშიო; თუ რამ წინააღმდეგობა გაუწიეთ რუსეთს, ამ საქმეში მე არ გავერევიო.

„Იმავე დღეს ჩვენს ბანაკში ხუც-უბანში მოვიდნენ დეპუტატები, რომელნიც მდ. Კინტრიშის გაღმა მცხოვრებლებს 4,000 კაცს გამოეგზავნათ და რომელნიც თხოულობდნენ, რომ თქვენ ქვეშევრდომათ მიგვიღეთო. Სამწუხაროთ, დღემდინ სხვა ადგილებიდამ არ მოსულან დეპუტაციები და ისმის, რომ ბევრი ქობულეთლები აპირებენ თავიანთ სამშობლოს მიტოვებას და Ოსმალეთში გადასახლებასაო. Ახლა ისინი თავიანთ საქონელსა და სხვა ყველაფერს ჰყიდიან. Კვირა არ გავა, რომ მთელი მაზრა გადასახლდება.

„მაგრამ ისეთებიც არიან, რომელნიც ჩვენ წინააღმდეგობის გაწევას გვიპირებენ. Ამბობენ, რომ ჩაქველები თოფ-იარაღით დახვედრას გვიპირებენ. Ტალახზე სიჩუმეა და ეს სიჩუმე ხეირიანს არას მოასწავებს. Ძნელი სათქმელია— ყველა ამისაგან რა გამოვა.

„მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩვენი ატრიადი სიჩარულით მიდის წინ და, უეჭველია, რომ რაც უნდა დაბრკოლება დაგვხვდეს წინ, ახლა კი ჩავალთ ბათუმში.“

*** Გაზეთის „Ობზორის“ კვირის ნომერში, ფელეტონში, სხვათა შორის მოხსენებულია, რომ „ქვეყნის გაჩენიდამ სვანეთში არცერთი დაბეჭდილი თაბახი არ გაგზავნილაო.“ Სამეგრელოში, გარდა ორი-სამი ჩინოვნიკისა კაცი არ იწერს არც ადგილობრივ და არც სატახტო ქალაქების გაზეთებსაო. Არც კახეთს უყვარს, როგორც სჩანს, გაზეთების კითხვაო, სიღნაღის უეზდში, მაგალითად, მხოლოთ თითო ეგზემპლიარი მიდის „მმართებლობის მოამბისა“ და „კავკაზისა“ და ხუთიოდ ეგზემპლიარი ადგილობრივი გაზეთებისაო.

რასაკვირველია, მცხოვრებლების რიცხვის და-გვარად, ყველა ამ ადგილებში ძალიან ნაკლებად მიდის გაზეთები; მაგრამ არც ისე დამცირება შეიძლება, როგორც გაზ. „Ობზორი“ სჩადის.

Თუმცა ავტორი ამბობს, რომ ეს ცნობები ფოჩტის უწყებამ გადმოგვცაო, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ იმას ამ უწყებაში არ შეუხედნია, თორემ ცხადათ დაინახავდა, რომ ის სცდება.

ჩვენ არ ვიცით სხვა გაზეთების ხელის-მომწერთა რიცხვი ამ ადგილებში, მაგრამ რაც შეეხება „დროებას,“ შეუძლიან მივიდეს ავტორი ფოჩტაში, ნახოს იქ იმის „ნაკლადნოი“—თუ სად რამდენი იგზავნება, და უეჭველია, შეიტყობს, რომ წელს ეს გაზეთი მიდის:

Სამეგრელოში: Ახალ-სენაკში—12 ეგზ., სამტრედიაში, Ორპირში და Фოთში რომელნიც მომეტებულ ნაწილად მეგრელებით არიან დასახლებულნი—38 ეგზ., ზუგდიდში—5 ეგზ.

Კახეთში „დროება“ მიდის: Თელავში—22 ეგზ., სიღნაღში—16 ეგზ., ვაზიანში—1, მუკუზანში—4 და. სხ.

მიუმატეთ ახლა ამას „Თფილისის მოამბის“, „კავკაზის“, თვითონ „Ობზორის“ და „Ივერიის“ ეგზემპლიარები და გამოვა, რომ ხსენებულს ადგილებში თითო-ოროლა ეგზემპლიარზე მეტი მიდის.

სვანეთში კი მართლა, „დროება“ მხოლოთ ორი წლის განმავალობაში მიდიოდა ორი თუ სამი ეგზ., და ახლა აღარც ის მიდის.

*** მადლობა Ღმერთს, ამ უკანასკნელი სამი დღის განმავალობაში წვიმები გვალირსა ზეცამ და ცოტა აგრილდა. Ახლა ისე გრილა ქალაქში, რომ კაცს სულის მოთქმა მაინც თავისუფლად შეუძლიან.

*** „დროებაში“, დღიურში, იყო წინათ მოყვანილი პატარა ამბავი იმის თაობაზედ, რომ ხონში დანიშნული იყო ტორგი ეკკლესიის ნაცვლის თანამდებობაზედაო. ეს ამბავი ჩვენ შეცდომით მივაწერეთ ხონს; ის მომხდარა სოფ. Ივან-დადში, რომელიც ხონიდამ ერთს ვერსზე მდებარეობს. Თვითონ გარემოება კი ნამდვილად ისე მომხდარა, როგორც გაზეთში იყო აწერილი.

** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ შემდეგი შენიშვნა:

„ქუთაისის იქით მდებარეობს ერთი პატარა სოფელი, რომელსაც სახელათ ჰქვიან რიონი; ქუთაისიდგან სულ 8 ვერსია იქამდინ. Ამ სოფელში ოთხ ქურდს ამას წინათ მოეპარათ ერთი ცხენი და ქუთაისისკენ მიჰყავდათ.

„Ამ დროს გაიგო პატრონმა და შეატყობინა თავის მეზობლებსა; გამოეკიდნენ იმათ, შეუკრეს გზა რიონის პირზედ ფერმის პირდა-პირ. ქურდებმა გაქცევა ველარ მოახერხეს. Ერთი ქურდებთაგანი შეჯდა ცხენზე და უნდოდა რიონში გასულიყო და ისე გაპარულიყო, მაგრამ იმ ალაგას ძალიან ღრმა წყალი შეხვდა და დაიღრჩო ცხენიცა და ქურდიცა.

„დამღჩვალი ცხენი ნახეს მეორე დილას რიონის ხიდთან, სადაც ახლაც გდია შეკმაზული შესამოწმებლათ. Დამხჩვალი ქურდი კი არა ჩანს!

„Ჯერ ამაზედ არაფერი საქმე არა არის რა; მხოლოთ, როგორც ზეითი მოგახსენეთ, ქურდები კი დაჭერილი არიან.“

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ

—

ძიაე ყარდაში ეფედუმი მეგაზეთეე!

შეიძლება, რომ ეს მეორე ჩემი წერილი მიიღოთ და გაზეთაში ჩაწეროთ ადრე: რავაც სული გვიწუხს, ისე გვეჩქარება; იგება დიდი კაცი წაიკითხავს და ყურადღებას მიაქცევს.

Ყარდაში ეფენდი! ჩვენი ქობულეთის ხალხი შეწუხებული არის იმიზდა, რომ ზოგიერთი მცხოვრები ახლა ემშვიდობება თავის ქვეყანას და იმიზა რომა ჩვენ სიცოცხლეს არა აქ სახელი, ჩვენი ხარი, ძროხა, ცხენი, საქმელი, პური გაფუჭებულია და მიაქვან.

Დერვიშ-ფაშამ გამოგვიცხადა, რომ რუსეთის დარჩაო ქობულეთი და ბათომი, თქვენ წამოდითო ჩვენი ხარჯითო. Მიდის ზოგიერთი პირები.

Წამსვლელები ურჩევენ დანარჩენს, წამოდითო; მაგრამ ზოგები ვერ მიდიან და ფიქრობენ, რომ ძიძა ბიდის და ვიღან გვაქმევსო ჩვენო, ზოგი ლუთფისი (ჩინის კაცი) ვართო, ნიშანი (ორდენი) გვაქვსო, პეცია გვაქვსო. ახლა რა ვქნათო! Ადუღებული არიან.

Ოთხი კაცი ხეც-შანის კამანდირთან (პოლკონიკია) გაგზანეს, რამოდენის საქმის მოსალაპარაკებლად და მან მისწერა მის უფროსს. Წნახოთ — რა პასუხი გამოვა ამისი.

Გარდა ჩივიან (ლაპარაკობენ) ქვეყანა, რომე გაგვიგონია, რომ ასი წელის წინეთ ჩვენი ბატონი Თავდგირიძეს გარდა Ბურიელი იყო და საქართველოსი დიდი ფაშაო. Გამოგვიგზავნიდისო თავადს ლევან Ბურიელს და ძმასა მისსო Ბირგოლი Ბურიელსო და ნუგეშინს გვეტყოდესო, რადგან ძველი ნაბატონევი არისო, ჩვენ დაუჯერებთო იმასო. Ღმერთმა ქნას უფროსათ Ბირგოლ დაგვეწინიშნოდესო.

ძიავ მეგაზეთეე! [illegible] ეფენდი მიგილიათ ჩემი თხოვნა და გაზეთაში მიგზავნით. მადლობელი ვარ, ბატონო.

Ესეც თქვენ შემისწორეთ, კარქი თქვენ დასძინეთ რაცხა და დამიბეჭდეთ.

Გამოვდივართ Ოსმალოსი ხელიდან. Ვნახოთ თქვენი მეზობლობა რავაია!..

ქობულეთი, 8 აგვისტოს.

Ახმედ-აღა ქაიკაციშვილი.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲝᲤᲔᲚᲘ (Იმერეთში), 8 Აგვისტოს. Ერთს წინანდელს თქვენის „დროების„ №-ში დაბეჭდილი იყო ორიოდე სიტყვა ქუთაისიდგან რკინის გზის გაყვანაზედ ს. Ტყიბულამდის, (რაქის სამზღვარზედ), სადაც ქვა-ნახშირი ითხრება ნაქერალის კლდეში.

Ამაზედ მინდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა: Ამ გზის გაპლანვას დიდი ხანია რაც შეუდგნენ და ეს მეოთხე ადგილზედ ამ დღეებში ათავებენ პლანის მიყვანას ამ კლდის ნახშირზედ.

Ამბობენ, რომ ეს უკანასკნელი გაპლანული გზა, რომელიც ს. Ახალ-სოფელზედ გაიელის, უფრო მოხერხებული გზა იქნებაო, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ამ სოფლის მცხოვრებლებს, როგორც პლანით სჩანს, ბევრს ზარალს მოგვიტანს იმით, რომ ზოგის სამოსახლოსთან ახლოს გაიელის, ზოგისას სამოსახლო ადგილებს, რომელზედაც დღედღეზედ დასახლებას აპირებდნენ, სჭრის და ზოგის საყანე ადგილებზედ გაიელის; ეს პირველი.

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲝᲒᲑᲘᲝᲜ

(დ.სასრული *)

Ამისთანა ადამიანი როგორ დავადაროთ Ევროპიელ ხალხს? Ეს უკანასკნელები არიან ზორცის მჭამელნი, ამათთვის ლობიო ღმერთს არ გაუჩენია. Მაგიერში შახედეთ, როგორნი არიან. ძალუმნი, უშიშარნი, გული გამობერილი, სიცოცხლით სავსე თვალები უგავთ მათ მეზობელს Ალპიის არწივს.

Ვაი იმისი ბრალი, ვინც ამათ დამონავებას განიძახაეს: ეს კეთილი ხალხი ლომებათ გარდაიქცევა და გაგლეჯს მტერს, თუ შეხვდა.

Თვისი ბუნებითი სიძრიელე შვეიცარიამ, ამ პატარა სახელმწიფომ, ცხადათ აჩვენა ქვეყანას 1870 წელს, როდესაც საფრანგეთსა და პრუსიას ბრძოლა ჰქონდათ. Ლენერალს ბურბაკის თავის დამარცხებულის ჯარით უნდოდა შეეფარებინა თავი შვეიცარიის ქვეყანაში მათ დაუკითხავათ. რასაკვირველია, ეს მშიერი, დამარცხებული და მტრისაგან დევნილი 100 ათასი ჯარი კეთილს არ დააყრიდა შვეიცარიის ქვეყანას. მაშინ ეს პატარა, მაგრამ სულით ძლიერი და ამაყი, ხალხი ძრიელ აღელდა: დიდით-პატარამდინ ყველა ფეხზედ აიდგა. Ამათ არ ჰყავთ მუდამი ჯარი, როგორათაც სხვა სახელმწიფოებში არის, მაგრამ ყოველი შვეიცარიელი ნამდვილი გაწვრთნილი სალდათია, და როდესაც საჭიროება მოითხოვს, ამათ შაუძლიანთ წარმოადგინონ მამულის დასაცველათ ისეთი ძალა, რომელიც შეიმაგრებს 500 ათას მტრის ჯარს.

Როდესაც საფრანგეთის ჯარი შესევას აპირებდა, შვეიცარიელები თითქმის სამს დღეში მოგროვდნენ, დადგნენ სამზღვარზედ მტრის დასახვედრათ, და, რასაკვირველია, თავის-თავს ისახელებდნენ, თუ რომ ბურბაკის გაებედნა ძალის მოხმარება.

Არ უნდა დავივიწყოთ, რომ შვეიცარიელები დამოუკიდებლათ ცხოვრობენ და არცერთ ძლიერ სახელმწიფოს არ განუძრახავს მათი დაპყრობა. Ერთს დროს ესენი იბრძოდნენ მტერთან, ვიდრე უკანასკნელ კაცამდინ, სანამ თავისუფლება არ მოიპოვეს...

Ასეთი ძლიერი ბუნებისა არიან. რატომ? მკითხამთ. Გაშინჯეთ მათი ცხოვრება და პასუხს ეს მათივე ცხოვრება მოგიგებსთ.

Ეს მაგალითები ამისათვის მოვიყვანე, რომ ქართველმა გაიგოს, რომ წამ-დაუწუმ ლობიოს ჭამა მას კეთილს არ დააყრის და არც დაუყრია. Თუ მისთვის შვრება ამას ქართველი, საბოლოოთ საქმე გავიკეთოო, სცდება: თუ გული წმინდა არა აქვს კაცს, ლობიო მას არას უშველის..

---

* „Დროება„, № 163 და 164.

მეორე ის, რომ ყველა მსხვილ-ფეხი და წვრილ-ფეხი საქონლისთვის მწყემსი დაგვჭირდება (ახლა კი საქონელი ნახევარჯელ უწყემსოთ გაშვებული გვყავს მინდორში).

მესამე კიდევ ამაზედ უფრო საშიში არის ცეცხლი; აი როგორ: ამ სოფელს, რომელშიდაც 70 კომლამდი ითვლება, გარს აკრავს დიდი ტყე, რომელიც შემოდგომაზედ გაიმსება ხოლმე ხეებიდგან ჩამოცვივნულის ფოთლებითა, ეს ფოთლები აქეთ-იქით მიაქვს შემოდგომის ღონიერ ქარს, რომელიც აქ იმისთანა რისხვით ამოვა აღმოსავლეთიდგან, რომ ეგონება კაცს, თითქო ამ ქარს უნდა, არც ერთი ხე და არც სახლი ფეხზედ არ დატოვოსო; ამისთანა ქარის დროს, შეიძლება, რომ აზნეოს ორთქლით-მატარებლიდგან გადმოვარდნილმა ცეცხლმა; აზარალოს ისეთ ნაირათ, რომ ერთ სახლსაც არ გადაანარჩუნებს ცეცხლი, თუ როდესმე ტყეს გაუჩნდა.

შეიძლება ვინმემ მითხრას ამაზედ, ტყე მოჭერით და ცეცხლის შიში აღარ იქნებაო. ტყე, რომელიც ამ სოფელს გარს აკრავს, დიდი საფარი არის მისთვის, ამიტომ რომ აღმოსავლეთის ქარმა და დასავლეთის ნიავმა არ დაგვაღეწოს თავზედ სახლები; ამიტომაც ამ ტყეს და სხვასაც, რომელიც იმ მიზნით არის დატოვებული მოუჭრელად, რომ ქარისაგან დაიფაროს სახლები ან ნათესი ყანები, საფარს, ან უკეთა ვსთქვათ, „საქარს" ვეძახით. აი, ამისთანა საჭირო ნივთს როგორ მოუღებთ ბოლოს!

ზარალი, რომელსაც მოველით რკინის გზისაგან ეს არის; მაგრამ სარგებლობას, რასაკვირველია, უფრო მომეტებულს მოველით და იმიტომაც გვიხარიან.

ახლა გთხოვთ, უ. რედაქტორო, გვიბძანოთ მოგვეცემა ცოტაოდენი მაინც არი ფული ამ ადგილების გაჭერისათვის და იმითი მოტანილი ზარალის ფასათ, თუ არა? თუ მოგვეცემა, ვის უნდა მივმართოთ თხოვნით? *)

ახალ-ხოჯლელი.

*) რკინის გზისაგან დაჭერილის მამულის ფასი ყველა მამულის პატრონს მიეცემა ხაზინისაგან დანიშნულის კომისიის გადაწყვეტილებით. ზარალი რკინის გზის გამგეობას უნდა მოსთხოვოთ.

რედ.

ომის ამბები

ოსმალეთი

რუსული გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 4 აგვისტოს არზრუმიდამ მიღებული:

„სომხები შეშინებული არიან—ვაი თუ შეგვაწუხონ მაჰმადიანებმა, როდესაც ხელ-ახლად იმათ ხელში ჩავარდებითო და ამისგამო რუსეთში გადმოსახლებას აპირებენ. თვითონ მაჰმადიანებიც არ არიან დარწმუნებულნი, თუ რუსის ჯარი გავა აქედამ და ამის გამო ოსმალეთში მიდიან.

„ბათუმიდამ მოსულები ამბობენ, რომ ორს ფაშას, რომელნიც სტამბოლიდამ იყვნენ გამოგზავნილნი ხონთქრისაგან, რომ ხალხისათვის გამოეცხადებინათ რუსეთთან შეერთება, ამ ორ ფაშას ქობულეთის და ბათუმის ხალხმა გარდაწყვეტით უთხრაო, რომ ისინი ხონთქრის ქვეშევრდომებად აღარ სთვლიან თავის თავს, არამედ ინგლისის ქვეშევრდომათ.

„ოსმალოს ჯარები ხშირად გადადიან ერთ ადგილიდამ მეორეში ბაიბურთს, ერზინგიანსა და მუშს შუა. არზრუმს და ტრაპიზონს შუა გზაზე ძალიან ძნელ შია; ამ დღეებში აქ მოვიდა რამოდენიმე სომეხი ვაჭარი, რომლებისთვისაც ავაზაკებს 30,000 ოქროს ფული და რაც საქონელი გააჩნდათ წაერთმიათ.

„ავათმყოფობა აღარ არის არზრუმში".

— გაზეთის „დაილი ნეუსის" ბათუმელი კორრესპონდენტი იწერება 1 აგვისტოს.

„დერვიშ-ფაშას ჰყავს ახლა აქეთკენ 25 ბატალიონი ჯარი. თვითონ ბათუმში 12 ბატალიონი დგას. ნაპირზე ამჟამად ორი ჯავშნიანი ხომალდი არის გაჩერებული. ეს ჯარები ციებითა და სურავანდით ავათმყოფობენო.

— ამავე გაზეთში იწერებიან, ლაზებმა ამ უკანასკნელ დროებში კიდევ შეადგინეს ადრესსი, რომელიც ინგლისის სტამბოლელ ელჩს ლეიარდს გაუგზავნეს და რომელშიაც აცხადებენო, რომ ისინი ინგლისის ქვეშევრდომებათ სთვლიან თავის თავს და თუ რუსები შევიდნენ, ინგლისის დროშას გამოვაფენთო.

— სმირნიდამ მოდის ამბები, რომ ჩერქეზები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროს გადასახლებულან იქითკენ, ქურდობენ, ავაზაკობენ და საზოგადოთ ძალიან აწუხებენ განსაკუთრებით სოფლის ხალხსაო. მთავრობას კი მეტი დამშვიდება ვერ მოუხერხებიაო და ამის გამო მცირე აზიის ხალხი მოუთმენლად მოელის ინგლისის რეფორმების შემოღებასაო.

იტალია

ერთს ფრანცუზულს გაზეთში დაბეჭდილია რომიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც მმართებლობას (კაიროლის სამინისტროს) დამზადებული აქვს ახალი ამორჩევითი კანონიო; აჰ

ამისათვის ურჩევ ქართველს დაანებოს თავი ნაძეტან ლობიოს და სხვა მცენარეულობის სჭამას; ჭამოს ხორცი მალ-მალე და მაშინ კარგათ წავა მისი საქმე...

ახლა გავათაოთ ეს ლაპარაკი ისევ ლობიოთი, რადგანაც ამით დავიწყეთ: 2,500 წელიწადი იქმნება, რაც ქართველი ლობიოს მიირთმევს და მაინც არ შეისწავლა მისი რიგიანათ მომზადება. რა მიზეზია? თუ ისაა, ვითომც ქართველს ამაზედ დროების დაკარქვა ენანება, ტყუილია: ის ხშირათ უსაქმოთ არის; თუ მუშაობს, მისთვის კი არა მუშაობს, რომ უყვარდეს, არა, ამას ძალიანაც ეზარება, ყოველთვის დაანებებს თავს, როდესაც შეიძლება უშრომოთ იცხოვროს,—მუშაობს—შიმშილით არ მოკვდეს. მუცლის ამყოლნი არა ვართ,—ქეთილი! მხოლოთ ვიცი, ქართველი ბოგჯერ ამყოლს გადააჭარბებს: თუ იშოვა, იმდენს ჩაყრის მუცელს და ჩასხამს, ვინემ ყელში არ ამოუვა. დაუდევარია. ქართქული—ეს კი ცხადია. ეს არ დასდევს იმას, რას ჰყრის მუცელში, ოღონდ კი ჩაჰყაროს და მისი ჯავრი არ აქვს, კარგია, თუ ცუდი. ქართველი არ ფიქრობს იმას, თუ როგორ ჯავრობს ხოლმე ბატონი, როდესაც მზარეული ცუდ საჭმელებს უმზადებს სამზარეულოში და მოსამსახურენი უწმინდურათ ინახავენ სახლს. ჩვენი ბატონიც—ტვინი (სული) ძრიელ ჯავრობს ხოლმე, როდესაც ჩვენს სამზარეულოში — მუცელში — ცუდს საჭმელებს უმზადებთ და უწმინდურათ ვინახამთ მისს სახლს, ჩვენ ტანს; ისიც ჯავრობს და კიდეც გვანებებს თავს, თუ ასე დიდ-ხანს განვაგრძეთ. ქართველი ივიწყებს, რომ მისი კეთილ-დღეობა მათს მუცელზედ, იმის რიგიანად მოვლაზედ არის დამოკიდებული.

თუ მაინც-და-მაინც არ დაიშლით ლობიოს ჭამას, გასწავლით—როგორ მოამზადოთ იგი:

აიღე ერთი ჯამი კაკალი ლობიო, გაარჩიეე, გარეცხე, დაასხი ექვსი ჯამი წყალი და ხარშე ვიდრე ძალიან გარბილდებოდეს; მერე გადმოიღე, ამოზილე, ამოზელილი გაიყვანე საცერში; ჩენჩო ღორებს დაუყარე, წვენი შეკმაზე რითაც გინდა და კიდევ სამჯერ აადუღე. ეს იქნება ექვსი კაცის ულუფა. ასე შემზადებული ლობიო არც გაბერავს ადამიანს, გემრიელიც ისეთია, რომ თითებს მოილოკავთ და ჩაიკვნეტთ. ამ რეცეპტის გასავრცელებლათ ვთხოვ კნეინა ბარ. ჯორჯაძისას ჩაურთოს იგი თავის „სამზარეულო წიგნში..."

მ. მ—ნი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Августа 1878 г.

კანონის ძალით, ყველა იტალიელს, რომელმანც კი წერა-კითხვა იცის, უფლება ექნება, რომ პარლამენტის დეპუტატების (თავის წარმომადგენელების) ამორჩევაში მიიღოს მონაწილეობა და იქონიოს ხმა (კენჭი). ამ მოკლე ხანში ეს კანონი, ანუ უკეთ—კანონის პროექტი, სამინისტრომ პარლამენტს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად.

რუსეთი

ბათუმელი კორრესპონდენტი ერთის ინგლისურის გაზეთისა („Daily News“) იწერება, რომ ოსმალეთში გადასახლებულ აბზაზებმა ისევ უკან, აბზაზეთში, დაიწყეს დაბრუნება, რამდენიმე ოჯახი სოხუმში გამოვიდნენო.

თუ ეს ამაავი მართალია, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მთავრობა ნებას მისცემს ღმერთ, რომ თავისუფლად დასახლდნენ თავის ქვეყანაში, რადგან, უეჭველია, რომ ესენი ტყვეებად უნდა იყვნენ ჩათვლილნი და არა სახელმწიფოს მოღალატეებად.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

პეტერბურგი, 13 აგვისტოს. ამ აგვისტოს 17, 18 და 19-ს დაიწყება ხელის-მოწერა ახალს ხუთ-პროცენტიან შინაგან სესხზედ. სესხი იქნება სულ 300 (სამასი) მილიონი; გამოცემული იქნება ხუთ-სარგებლიანი ობლიგაციები (ბანკის ბილეთები) ას და ათას-მანეთებიანები.

პეტერბურგის ბირჟა, 13 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	97	37
მეორესი — — — —	96	25
მესამესი — — — —	96	50
მეოთხესი — — — —	96	—
ალმოსავლეთის — —	95	25
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	7	91

თფილ. თავად-აზნ. ბანკის

გირაოს ფურცელი— —	„	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	236	25
მეორე სესხის — — —	236	50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი— —	25	12	პენსი
ამსტერდამი— —	127	25	ცენტი
ბერლინი— — —	214	—	ჰფენიგი
პარიკი — — —	262	65	სანტიმი

განცხადებანი

დაიბეჭდა და **ისყიდება** ზ. ჩარკვიანის **წიგნის მაღაზიაში** და **თელავს**—სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან

„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა“

ტრაგედია ოთხ მოქმედებად, თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ობრელიანისა.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ისყიდება პარტიითა და თითო კულითაცა **თამბაქო,** მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესსი: ბალერეი არწრუნისა, № 146. **ივანე ალხაზოვი.**

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ზიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და **თელავს,** სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან ახალი წიგნი,

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ობრბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე კერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა

ფასი ორი შაური.

ჟუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) **დედა ენა,** ი. ბოგვერაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი,** ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია აღ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი,** შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **ვეფე ლირი,** დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: **თფილისში**—ყველა წიგნი მაღაზიებში, ।

ჟუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
უვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ჟუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სილნალს . .	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) **თფილისიდამ:** **სამზღვარ გარეთ,** ჟუთაისს, **რუსეთს**— ყოველ დღე კვირას გარდა. **ზუგდ.** ორშ. და ხუთშ. **ოზურ.**—პარასკ. და ორშ. ქალეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ჟუთაისიდამ:** **თფილისისა და ფოთისაკენ**—ყოველ დღე, კვირას გარდა. **ოზურ.**—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	**კაპ.**	
და სამზღვარ გარეთ:		
ლია წიგნის	4	
დაბეჭდილის (ბამი მისხალი) .	8	

მაზანდა

თფილისი, 12 აგვისტ.

ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფუთ.	2	—
ფქვილი წოთელი . . .	1	70
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევანისა, ფუთი .	7	30
—ამერიკისა, ფუთი . .	8	40
ბაკანტელი ბამბა ფუთი.	10	—
ბატალი თეშური ფუთი	8	40
—ოსრაქამისა ფუთი . .	4	50
ებრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი	6	—
ქონის სანთელი ფუთი .	8	80
სტეარინის სანთელი, ფუთ.	12	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	5	20
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	60
—ფხვნილი ფუთი . . .	5	40
ყავა გრეკული, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	15
თამბაქო, ხაშურ ლო ფუთ.	12	—

თფილისის სამკურნალო

ერევნ ს მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 8 საათ დან 10-მდინ.

ბ ო ტ ნ ი ს ბ ა ტ ი ს: ვერ ი შ ვ ი ლ ი ბ ა-ბ ლ ე ვ ი ჩ ა—შინ გ. ავ თ., ბ ი ო ჩ ა-ბ ი ა ნ ც—თვალ ის ა ლ ბ ა ტ ი ს ბ ა ტ ი ს: ვ ერ მ ი შ ვ ი ლ ი — შ ი-ნ. გ. ბ ა ქ ს ტ ი ენ ვ ი ო ლ ს ა ლ ბ ა ტ ი ს: ბ ა ქ ს ტ ი ბ ა ტ ი ს: ვ ერ მ ი შ ვ ი ლ ი — შ ი-ნ. გ. ბ ა ქ ს ტ ი გ ულ ის ბ ა ტ ი ს: ბ ა ქ ს ტ ი ინ ფ ი ლ ი ტ ი ა ტ ი ო ნ ი ა ლ ბ ა ტ ი ს: ბ ა ქ ს ტ ი ბ ა ტ ი ს: ბ ა ქ ს ტ ი ბ ა ტ ი ს: ბ ა ქ ს ტ ი